

ღირებულებები: საზღვრები და წინააღმდეგობები

მერაბ გველასიანი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

შოთა ვეზაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი

საკვანძო სიტყვები:

ღირებულებები, წინააღმდეგობები, წინააღმდეგობათა კლასიფიკაცია

ევროპული ინტეგრაცია და სამართლებრივი

ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

თეორია, მეთოდოლოგია, სისტემური პრობლემები

ღირებულებები მრავალფეროვანია და ურცხვი, ხოლო მათი გავრცელება-შეზღუდვის მექანიზმები – სხვადასხვაგვარი. აქ ვგულისხმობთ სახელისუფლებო მექანიზმებს, მაგრამ ღირებულებათა სუბიექტები მხოლოდ ხელისუფალნი კი არ არიან, არამედ ცალკეული ადამიანებიც, ადამიანთა ერთობებიცა და მთელი ხალხიც. სწორედ ისინი არიან ისეთი ღირებულებების ქმნადობისა და განხორციელების მთავარი მოქმედი პირები, როგორებიცაა სიყვარული, ნდობა, მეგობრობა, თანადგომა, ერთგულება და მათთანაწინა.

ღირებულებათა კლასიფიკაციას ჩვენ არ შევეხებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მას აძნელებს სხვადასხვა ფაქტორი, განსაკუთრებით კი ის, რომ ღირებულებათა ფარგლების დასაზღვრა არსებითად შეუძლებელია, რადგან ისინი ერთმანეთში გადადიან და ერთმანეთს ფარავენ კიდევ, რაც ზემოთ დასახლებულ ღირებულებათა მაგალითზე ადვილი შესამჩნევია. შევეხებით მხოლოდ ჩვენი საუბრის საგნის – სოციალურ ღირებულებათა – საზღვრებს, რათა განვასხვავოთ ისინი ეკონომიკური ღირებულებებისაგან.

ამით, არსებითად, განვსაზღვრავთ კიდევ მათ არსს.

ღირებულებები, რომლებზეც ვსაუბრობთ, ადამიანთა და საზოგადოებათა სოციალური ორიენტირებია. ტერმინი “სოციალური” აქ თავისი ვიწრო მნიშვნელობითაა გამოყენებული ეკონომიკურ ღირებულებებთან შეპირისპირების მიზნით, ფართო მნიშვნელობით კი იგი მოიცავს ყოველივეს, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას მიეკუთვნება. ავიღოთ ცხოვრებისეული მაგალითი: ზოგს ოპერა ურჩევნია ესტრადას, ზოგს - პირიქით; საკვებ პროდუქტებს შორის ზოგი ბოსტნეულს აძლევს უპირატესობას და ზოგი ხორცეულს და ა.შ. ეს ორიენტირები არ არის ღირებულებითი. **ღირებულება სოციალური გაგებით არის საზოგადოებრივ მოვლენათა სიმრავლის ის საერთო ნიშანი, რომელიც ადამიანებისა და საზოგადოებებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასურველია.** ჩვენს მაგალითშიც არის შესაძლებელი ასეთი ნიშნების მოძებნა. უზოგადესი ნიშანია (ღირებულებაა) კეთილდღეობა, რომლისკენაც ისწრაფის მთელი საზოგადოებაცა და მისი ყოველი წევრიც. მა-

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გრამ, როგორ წარმოუდგენიათ ცალკეულ ადამიანებს იგი? ისევ ჩვენს მაგალითს მივმართოთ: ლუარსაბები კვლავაც “კუჭის მონები არიან”, მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მომღერლის ფანი მშიერი წავა მის მოსასმენად. აქ საქმე გვაქვს გაუკიდურესებულ ღირებულებით ორიენტირებთან. კანონზომიერი კი ის არის, რომ კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე პირველი რიგის მატერიალური მოთხოვნილებების ზემოთ ადამიანები თავიანთი შემოსავლის სულ უფრო დიდ ნაწილს მომსახურებაზე ხარჯავენ, მათ შორის სულ უფრო დიდ ნაწილს ახმარენ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ ეს ნაწილები მომხმარებელს სხვადასხვა აქვთ, ანუ მათი ინდივიდუალური ღირებულებითი ორიენტირები განსხვავებულია. საზოგადოება თავისი ინსტიტუტების მეშვეობით მოვალეა, შეისწავლოს შინამეურნეობების მოხმარების სტრუქტურა და თავისთვის და თითოეული წევრის სასარგებლოდ მოახდინოს ამ ორიენტირების კორექტირება. ამ მიზნის მიღწევის საშუალებებია საინვესტიციო-დარგობრივი და საგადასახადო პოლიტიკა, რომლებითაც საზოგადოება, სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოთა სახით, ზემოქმედებს მიწოდებაზე; საფასე პოლიტიკა, რომელიც მიწოდებაზეცაა მიმართული და მოთხოვნაზეც და ა.შ.

სოციალური ნიშანი „აზის“ არა მხოლოდ მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა შორის არჩევანს. იგი ატყვია არჩევანსაც სულიერ სიკეთეთა იმ დიდ ბლოკებს შორის, რომელთაგან ზოგის მოხმარებას მეტი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის, ზოგისას ნაკლები, ხოლო ზოგი სულიერების დეგრადირებას იწვევს ანუ სიკეთე კი არაა, არამედ - ბოროტება, ღირებულება კი არაა, არამედ - მისი ანტიპოლია, რომელიც სამეცნიერო ენაში შეიძლება შევიდეს როგორც უარყოფითი ღირებულება. თუ მთავრობა ზრუნავს ადამიანთა საღ სულიერ განვითარებაზე, კერძოდ კი მათში მაღალი გემოვნებისა და მაღალი ღირებულებითი ორიენტირების გამომუშავებაზე, იგი უნდა ასტიმულირებდეს ამ მოთხოვნათა შესატყვისი სულიერი პროდუქტების (ლიტერატურისა და ხელოვნების შესატყვისი ნიმუშების) მიწოდებასა და მოხმარებას ზემოთ უკვე ხსენებული თუ სხვა ინსტრუმენტების მომარჯვებით. ამისათვის საჭიროა, ვეძიოთ შესაბამისი გამოცდილება

როგორც ანმყოში, ისე წარსულში (მათ შორის არც საბჭოური გამოცდილება უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან იმ შენიშვნით, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში მაშინ მაღალი ღირებულების მატარებლად ითვლებოდა ის პროდუქტები, რომლებიც კომუნისტურ იდეოლოგიას ემსახურებოდა).

სიკეთე და ბოროტება, რომლებიც აქ ვახსენეთ, ისეთი ზოგადი ცნებებია, რომლებიც ესადაგება ღირებულებების მთელ სისტემას და სწვდება თითოეულ მათგანს, ამიტომ ამ ორი ცნების კუთხით ღირებულებათა განხილვა ბევრ რამეს გვეუბნება მათ რაობასა და თავისებურებებზე. ღირებულებები თავისთავად სიკეთეს უნდა წარმოადგენდნენ და ჭეშმარიტი ღირებულებები წარმოადგენენ კიდევ მათ, მაგრამ სიკეთე ყოველთვის ბოროტებასთან შეპირისპირებაში მოიაზრება და ცალკეული ადამიანებისა თუ მათი ერთობების ქცევის ღირებულებით ორიენტირებს სიკეთის ნაცვლად მართლაც მოაქვთ საზოგადოებისთვის ზიანი ანუ ბოროტება. აქ ჩვენთვის სახელმძღვანელოა დიდი ილიას საოცრად ღრმა და მარტივად თქმული სიტყვები: “კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა.... და რადგან ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისთვის ცოდვაა და ბოროტი, მეორისთვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? ... მაგ. “რატომს” ჯერ-აქამომდე ადამიანმა გულდაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა” [ჭავჭავაძე, 1955: 327-328]. “გულდაჯერებული პასუხი” მაგ “რატომზე” არც დღეს გვაქვს და იქნებ ვერც ვერასდროს გვექნეს. მაგრამ, ციტატიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ ბევრ რამეზე: იდეალურ და რეალურ, ობიექტურსა (ჭეშმარიტსა) და სუბიექტურ ღირებულებებზე, საზოგადოებისა და ინდივიდუალურ ღირებულებებზე, ღირებულებათა საზომის ფარდობითობაზე, ღირებულებათა წინააღმდეგობებსა და ბრძოლებზე და ა.შ.

პასუხი არა გვაქვს უპირველესად იმიტომ, რომ სოციალური ღირებულებები სწორედ რომ ადამიანის გულის ხმის გამოვლინებაა და რომ გააბსოლუტებული სახით მათ მხოლოდ პლატონისეულ იდეათა სამყაროში თუ წარმოვიდგენთ, სადაც უმადლესი ღირებულებაა სიკეთე. სიტყვა “სიკეთე” ბევრ რამეზე ითქმის ქართულშიცა და

სხვა ენებშიც – ითქმის იგი ადამინზეც, სასარგებლო ადამიანისეულ ქცევაზეც და ა.შ. და ითქმის იგი ყოველ ჭეშმარიტ ღირებულებაზე, რომელიც ადამიანთა ქცევის ორიენტირი უნდა იყოს. ამ აზრით ღირებულება ის კი არ არის, რაც ადამიანებს მოსწონთ და უნდათ, არამედ ის, რაც მათ უნდა უნდოდეთ და რასაც ისინი უნდა ესწრაფოდნენ, როგორც სრულყოფილებას პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ცხოვრებას თავისი წინააღმდეგობები აქვს საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და ადამიანებს ძალუძთ მხოლოდ იმ ღირებულებების სრული თუ არასრული გაცნობიერება, რომელი ღირებულებებიც ამ ეტაპზე სასარგებლო საზოგადოებისათვის. რამდენადაც ისინი სასარგებლოა ადამიანთა მთელი ერთობისათვის, – რამდენადაც მათ შეუძლიათ, წინ წასწიონ მთელი ერთობა (ან, მთელი კაცობრიობა), – იმდენად ატარებენ ისინი საყოველთაობის ნიშანს და არა იმ მიზეზით, დაიმსახურებენ ისინი საყოველთაო მოწონებას თუ ვერა. ან რამდენი ადამიანის მოწონებასა და აღიარებას დაიმსახურებენ: ბევრი და ცოტა აქ არაფერს ნიშნავს. შესაძლოა, ღირებულებათა ჩანაცვლება მოუმწიფებელი, ნაადრევი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში კონსერვატიული აზრის გამარჯვებაა სასარგებლო. ზუსტია ამდაგვარი სიტუაციების ილიასეული შეფასება: “ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის.” ზუსტადაა ჩასმული წინადადებაში სიტყვა “გულწრფელიც”, ვინაიდან გულწრფელი აზრი ყოველთვის არ არის სწორი.

ამრიგად, თითოეულ ადამიანს, სიკეთითა და ბოროტებით დაწყებული ყოველი ღირებულების თავისი საზომი აქვს და ეს ინდივიდუალური საზომიც მუდამ ცვალებადობს. საზომიცა და მისი ცვალებადობაც ბევრ რამეზეა დამოკიდებული, პირველ რიგში - ადამიანის ბუნებასა (ხასიათსა) და განწყობაზე, მის ფიზიოლოგიურსა და სოციალურ მდგომარეობაზე და ამ მდგომარეობის ცვალებადობაზე.

ახლა ვიკითხოთ, ჩაითვლება თუ არა ბოროტებად კონფლიქტები ოჯახის წევრებს, ორგანიზაციის თანამშრომლებს, მეგობრებსა თუ სხვათა და სხვათა შორის? სწორი პასუხია – გააჩნია შემთხვევას. მეცნიერებამ გაარკვია, რომ უკონფლიქტო საზოგადოება კარგავს გან-

ვითარებისკენ სწრაფვას, ხოლო ფილოსოფიამ კიდევ უფრო ადრე გაარკვია, რომ განვითარებას წინააღმდეგობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი მართავს.

ღირებულებათა წინააღმდეგობებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მსხვილი ბლოკი, მათ შორის:

■ **პირველი: წინააღმდეგობები ცალკეული ან ერთგვაროვანი, ერთიმეორის გადამფარავი ღირებულებების (ისეთების, როგორებიცაა სიყვარული და მეგობრობა და მათთანანი) ჯგუფის “საკუთარ თავში”. მაგალითად, დემოკრატია, თავისთავად, უმრავლესობის (ხალხის) ძალაუფლებას ნიშნავს და დაუცველს ტოვებს უმცირესობებს და ერთეულებს, განურჩევლად იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია მათი საჭიროებები და მათი აზრები. ამიტომ ხდება დემოკრატის შევსება – უმცირესობის დაცვის მექანიზმებით, რომლებიც ჩვენს წარმოსახვაში დემოკრატის ნაწილად ასოცირდება, სინამდვილეში კი მისთვის გარედან მიმატებული, უცხო ელემენტია. ასევე, საბაზრო ეკონომიკას აქვს მრავალი ნაკლი, რომელთა გამო მისი შევსება, მეტი თუ ნაკლები წარმატებით, ხდება ისეთი კომპონენტებით, როგორებიცაა სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკის ანტიმონოპოლისტური და ანტიციკლური რეგულირება და ა.შ. როგორც ერთის, ისე მეორის შემავსებელი მექანიზმები შემოაქვს სახელმწიფოს თავისი მმართველობითი გამოცდილებისა და მეცნიერთა კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე, რომლებიც ასევე ემყარება ღირებულებით ორიენტირებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს სახელმწიფოს ობიექტური, მით უფრო – უნაკლო, ღირებულებები შემოჰქონდეს;**

■ **მეორე: წინააღმდეგობები ცალკეულ ღირებულებებს შორის.** ისეთი მაღალი მაკროეკონომიკური ღირებულებები ავილოთ, როგორებიცაა სრული დასაქმება და სტაბილურობა: როცა სრულ დასაქმებას ვუახლოვდებით, ფასები ზრდას აჩქარებენ და ეკონომიკური კრიზისის ალბათობაც იზრდება. არანაკლებ მძაფრი წინააღმდეგობებია ინდივიდუალურ ღირებულებათა ორიენტირებს შორის, როდესაც არჩევანში შევდივართ. ვთქვათ, მოყვასის კეთილდღეობისთვის გავილოთ მსხვერპლი თუ საკუ-

თარი საჭიროებები ვარჩიოთ. დემეტრე თავდადებულმა რომ სიცოცხლე დათმო თავისი ხალხის უსაფრთხოებისათვის (მაშასადამე, კეთილდღეობისათვისაც), ეს იმაზე მეტყველებს, როგორ შეადარა მან ეს ორი ღირებულება და რომლის მხარეზე გადასწია სასწორის პინა. ბევრი სხვა სხვაგვარად მოიქცეოდა. მსგავსი გადაწყვეტილებების სხვადასხვაობა ღირებულებათა ინდივიდუალური შეფასებების სხვაობაზეც მეტყველებს და მათ წინააღმდეგობებზეც;

■ **მისამი: წინააღმდეგობები ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ღირებულებებს შორის.**

ეს წინააღმდეგობები თავის დიდ ნაწილში ღირებულებათაშორისი წინააღმდეგობების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენენ. განვავრცოთ მათზე ზემოთ უკვე აღნიშნული პროცესები: შრომისუნარიანი ადამიანები მათთვის ხელსაყრელ დასაქმებას ესწრაფიან, სრული დასაქმების დროს მათი არჩევანის შესაძლებლობები იზრდება, შედეგად იზრდება ხელფასი, მასთან ერთად ფასებიც და იზრდება კრიზისის ალბათობაც. რაც შეეხება ცალკეული ღირებულებების შემთხვევას, ამის ნათელი მაგალითია სახელმწიფო კანონმდებლობაში ასახული საზოგადოებრივი ღირებულებები და მათი დარღვევები ადამიანების მიერ;

■ **მეოთხე: წინააღმდეგობები დროთა (ეპოქათა) შესაყარზე ანუ ტრადიციულ და ახალ ღირებულებათა შორის.**

ის, რასაც ჩვენ ღირებულებებს ვუწოდებთ, თავდაპირველად მაინც ადამიანთა შეთანხმებით, მათ აზრთა შეჯერებითა და სხვა ადამიანებზე ამ ღირებულებათა გავრცელებით (ან – მათ მიერ ამ აზრთა გაზიარებით) ყალიბდება; მაგრამ მათი პირველწყარო ცალკეული ადამიანების დამოკიდებულებაა ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის მიმართ. ახალი დამოკიდებულება გზას იკაფავს ძველთან ბრძოლის გზით და თუ მოუმნიფებელია ან საერთოდ მიუღებელი, ადრე თუ გვიან მარცხდება, ხოლო მომნიფებული – ასევე ადრე თუ გვიან - ავინროებს ან სულაც ცვლის ძველს. გვიან - იმიტომ, რომ საზოგადოებრივ აზრში ფესვგამდგარი დამოკიდებულების შევინროება - შეცვლა იოლი არ არის;

■ და, ბოლოს, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მისწითი: **წინააღმდეგობები სივრცეში ანუ ადამიანთა დიდი ტერიტორიული ერთობების - ხალხების (ერების) - ღირებულებებს შორის.** წინააღმდეგობათა ეს კლასი თავისებურად იმეორებს წინა ოთხს (და ეს აღნიშნული ოთხის მიმიხილვის მიზანი იყო კიდევ), მაგრამ მაინც ცალკე კლასს წარმოადგენს, რადგან საქმე გვაქვს მათ(წინააღმდეგობათა) უფრო მაღალ დონესთან. ამ დონეზე ან ერთი ხალხი (შესაძლოა მისი მთავრობა) ესწრაფვის სხვა ხალხის ღირებულებათა გაზიარება-განხორციელებას და აწყდება თავისი თანამემამულეების - შესაძლოა აგრეთვე თავისი მთავრობის - კონსერვატიულ განწყობებს, ან ეს სხვა ხალხი ცდილობს განავრცოს მასზე საკუთარი ღირებულებები. – და ამ შემთხვევაში იგი შესაძლოა წააწყდეს დაბრკოლებებს უწინარესად ობიექტური და სუბიექტური პირობების მოუმნიფებლობას ან, საერთოდ არარსებობასთან დაკავშირებით. განვრცობა ისტორიულად ხდებოდა დამპყრობლის მიერ დაპყრობილის დამორჩილების მიზნით, რადგან როცა დაპყრობილს სარწმუნოებასა და ენას ართმევ, იგი უფრო ადვილად სამართავი ხდება.

თანამედროვე ცივილიზაციაში საკუთარი ეროვნული ღირებულებების სხვებზე განვრცობა შეიძლება ხდებოდეს კეთილი მიზნებით – როცა ერთ ხალხს თავისი ღირებულებები გულწრფელად მიაჩნია ჭეშმარიტად (ან უფრო მონივრედ მაინც). მაგრამ იგი შეიძლება ხდებოდეს აგრეთვე ადამიანთა და მთელი ერებისთვის დამახასიათებელი იმ ბუნებრივი სწრაფვით, რომ დაიმსგავსონ სხვა. ორივე შემთხვევაში დიდი დაფიქრებაა საჭირო, რადგან ღირებულებათა სივრცობრივი გავრცელება შეიძლება წააწყდეს სულ სხვა ეროვნულ ნიადაგს, რომელზეც უცხო ნერგი ვერ გაიხარებს ან გაიხარებს და, კარგა ხნით, სასურველ ნაყოფს ვერ მოგვცემს.

პრობლემა რთულია და დიდ დაფიქრებას ითხოვს. სიფრთხილეს მწარე გამოცდილებაც გვკარნახობს: საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ყველაზე ღირებული პროდუქტი საბაზრო კონკურენტული მექანიზმია და არა - კერძო საკუთრება, რომელზე გადასვლაც ჩვენთან განხორციელებული რეფორმის ძირ-

ითად მიმართულებად იქცა. კერძო საკუთრების ინსტიტუტს გონივრული ჩამოყალიბება სჭირდება, რათა მან შექმნას საბაზრო მექანიზმის ამუშავების ერთი (მხოლოდ ერთი) წინაპირობა, ჩვენთან კი რეფორმატორებმა იგი პანაცეად მიიჩნიეს. ხოლო შედეგად რა მივიღეთ? ძირითადად – მონოპოლისტურ-კლანური სტრუქტურები, რომლებიც საბაზრო მექანიზმის მოქმედებას ხელს უშლიან. ანუ კონკურენტული სისტემის ჩამოყალიბებამდე ჩვენ დღეს სულაც არა ვართ უფრო ახლოს, ვიდრე საბჭოთა ხანაში ვიყავით, ვინაიდან სადღეისოდ გაჩენილი გახვევებული მონოპოლიური სტრუქტურების დემონტაჟი, ჯერჯერობით მაინც, შეუძლებელი ჩანს და ამ ამოცანას არც არავინ აყენებს დღის წესრიგში. პრობლემაა ჩვენს კერძო მესაკუთრეთა ქცევის ორიენტაციაც საღ კერძომე-

საკუთრულ ღირებულებებზე (ისინი ძირითადად მესაკუთრეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელთაც დიდი ზიანი მიაყენეს ეროვნულ სიმდიდრეს ფაბრიკა-ქარხნების ჯვართად გაყიდვით, ხე-ტყის ხერხვა-გაყიდვითა და ა.შ. ანუ არ ეკუთვნის ფხიან, რაციონალურად მოქმედ მესაკუთრეებს).

ჩვენი მოხსენება ძირითადად შეეხო კრიტიკრიუმებს, რომლებითაც დგინდება ღირებულებათა რაობა, მათი საზღვრები და მათთვის ნიშანდობლივ წინააღმდეგობათა კლასიფიკაცია. მათ მიგვიყვანეს იმ წინააღმდეგობებამდე, რომლებიც ახლავან ღირებულებათა გავრცელებას სხვადასხვა ხალხებს შორის. ხოლო თუ როგორ დავძლიოთ წინააღმდეგობები პროგრესულ ღირებულებათა გაზიარებისა და განხორციელების გზაზე, ცალკე საუბრის საგანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე, ი. (1955). თხზ. სრული კრებული 10 ტომად. ტ. V. სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი.

Values: Limits and Contradictions

Merab Gvelesiani

Doctor of Economic Sciences,
Georgian Technical University Professor emeritus

Shota Veshapidze

Doctor of Economic Sciences,
Professor, David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Key words:

VALUES, LIMITS, CLASSIFICATION

Summary

Speakers noted the difficulties and values within their borders and classification, which determines their mutual transitions.

As the values of human societies and social behavior guidelines to create another level of compared economic values. The report identified five contradictions of social values, the fifth of which – the contradiction between the values of different nations – covers four others.